



ბრძანება

N 139
26/04/2021

შპს „დელოიტი და ტუმი“-სთვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში (შემდგომ - სამსახური) არსებული ინფორმაციით შპს „დელოიტი და ტუმი“ (შემდგომ - აუდიტორული ფირმა) რეგისტრირებულია აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში (ს/ნ 204422240, სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-107265, მისამართი: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, მერაბ ალექსიძის ქ., N12, საოფისე ფართი N47, სართული 15, ბლოკი "ბ").

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მე-12 მუხლის მე-8 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, რეესტრში აუდიტორული ფირმის შესახებ ასახული უნდა იყოს ბოლო 3 წლის განმავლობაში აუდიტორული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების შესახებ ინფორმაცია. კანონის მე-12 მუხლის მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, რეესტრში აუდიტორული ფირმის შესახებ უნდა იყოს აუდიტორულ ფირმაში დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია.

„ვებგვერდისა და რეესტრის ელექტრონული ფორმით წარმოების, მისი სტრუქტურის, ფორმის, მასში ასახული ინფორმაციის ნუსხისა და მომხმარებელთა იდენტიფიცირების წესის განსაზღვრის თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 28 ოქტომბრის N17 ბრძანებით დამტკიცებული წესის (შემდგომ - წესი) მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სარეგისტრაციო განაცხადის „მე-8 პუნქტში მიეთითება ინფორმაცია აუდიტორული და პროფესიული საქმიანობიდან (ბოლო 3 დასრულებული კალენდარული წლის განმავლობაში) მიღებული შემოსავლების თაობაზე (მათ შორის კონსოლიდირებული სახით, პროფესიული მომსახურების განმახორციელებელი შვილობილი კომპანიის არსებობის შემთხვევაში)“. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო განაცხადის „მე-9 პუნქტში მიეთითება ინფორმაცია აუდიტორულ ფირმაში თანამშრომელთა რაოდენობის თაობაზე. აღნიშნულ შემთხვევაში ველებში მიეთითება ინფორმაცია თუ რამდენი თანამშრომელი ახორციელებს აუდიტორულ მომსახურებასა და პროფესიულ მომსახურებას, ასევე რამდენი თანამშრომელია დასაქმებული ადმინისტრაციაში.“ ხოლო წესის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, აუდიტორული ფირმა ვალდებულია არაუგვიანეს 1 აპრილისა განაახლოს ინფორმაცია მის მიერ მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურებებიდან, წინა წელს მიღებული შემოსავლების და მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია თანამშრომელთა

რაოდენობის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ აუდიტორულ ფირმას აღნიშნული წლის განმავლობაში არ მიუღია შემოსავალი, ვალდებულია შესაბამის გრაფაში ასახოს ციფრი „0“. კანონის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ამ კანონის IV თავით გათვალისწინებულ სარეგისტრაციო წარმოებასთან დაკავშირებული წესების დარღვევა გამოიწვევს აუდიტორისათვის/აუდიტორული ფირმისათვის რეგისტრაციის გაუქმებას ან საქმიანობის უფლების აკრძალვას ან/და პირის დაჯარიმებას 1 000 ლარამდე.

მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, აუდიტორული ფირმა ვალდებული იყო 2020 წელს მიღებული შემოსავლებისა და თანამშრომელთა რაოდენობის შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია სამსახურისთვის წარედგინა 2021 წლის 1 აპრილამდე, თუმცა, აუდიტორული ფირმის მიერ მოცემული ინფორმაცია წარდგენილია ვადის დარღვევით, კერძოდ, 2021 წლის 02 აპრილს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით (განცხადების სამსახურში რეგისტრაციის N67110/16).

„ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-8 პუნქტის „ბ“ და „ზ“ ქვეპუნქტების, 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „ვებგვერდისა და რეესტრის ელექტრონული ფორმით წარმოების, მისი სტრუქტურის, ფორმის, მასში ასახული ინფორმაციის ნუსხისა და მომხმარებელთა იდენტიფიცირების წესის განსაზღვრის თაობაზე“ ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 28 ოქტომბრის N17 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა და მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „დელოიტი და ტუში“ დაჯარიმდეს 250 ლარით;
2. ჯარიმის გადახდა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის განმავლობაში უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით: სახაზინო კოდი/ანგარიშის ნომერი 302003550;
3. დაევალოს სამსახურის შესაბამის თანამშრომელს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდგომ ამ ბრძანების სამსახურის ვებგვერდზე 5 წლის ვადით გამოქვეყნების უზრუნველყოფა;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ.ადამაშენებლის ხეივანი მე-12 კმ; N6).

იური დოლიძე

სამსახურის უფროსი

ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი

